პროგრამის სახელწოდება: ქალის ტანსაცმლის კერვა

პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: მესამე

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 14

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 15-25 სთ

სულ საკონტაქტო საათების რაოდენობა - 290 სთ

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:

მინიმალური -8 **მაქსიმალური** -14

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება
ასაკი - მინიმუმ 18 წელი

პროგრამის მიზნები: პროფესიული მომზადების პროგრამა **„ქალის ტანსაცმლის კერვა“** მიზნად ისახავს შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, რომლებიც პროგრამის გავლის პერიოდში შეისწავლიან: სატანსაცმლე მასალის სახეებს და შერჩევის წესებს, ტანსაცმლის დამუშავების საწყისებსა და ზოგად ტექნოლოგიას; ქალის ტანსაცმლის კონსტრუირება - მოდელირებას; ქალის სხვადასხვა სახის ტანსაცმლის მასალაში შესრულებას შრომის ნორმებისა და უსაფრთხოების წესების დაცვით.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები, შეძენილი ცოდნა-უნარებით, შეძლებენ დასაქმებას დიდი, საშუალო და მცირე ზომის სამკერვალო საწარმოებში, მოდის სალონებში, ასევე თვითდასაქმებას.

პროფესიული პროგრამის მიზანია შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულისათვის ხელშეწყობა. პროფესიული მომზადების პროგრამა არის უმოკლესი გზა დასაქმებისთვის.

სწავლის შედეგები:

1. პროფესიული მოვალეობები და სამუშაო გარემოში უსაფრთხოების წესების დაცვა
2. სატანსაცმელე მასალების ასორტიმენტი
3. ტანსაცმლის დამუშავების საწყისები და ზოგადი ტექნოლოგია
4. ქალის ტანსაცმლის კონსტრუირება და მოდელირება(ქვედაკაბა,შარვალი, მსუბუქი კაბა)
5. ქალის ტანსაცმლის მასალაში შესრულება(ქვედა კაბა , შარვლი , მსუბუქი კაბა, კოფთა)

პროგრამის მოკლე აღწერა: პროფესიული მომზადების პროგრამაზე „მკერავი“ სწავლა შეუძლია პირს, რომელსაც აქვს სურვილი მოკლე დროში შეიძინოს კონკრეტული ცოდნა /უნარები პროგრამიდან გამომდინარე და დასაქმდეს აღნიშნული მიმართულებით.

პროგრამა განხორციელდება სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ ბაზაზე, თეორიული მეცადინეობა ჩატარდება სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიაში (A გარემო) , ხოლო პრაქტიკული მეცადინეობა - სასწავლო სახელოსნოში (C გარემო). სწავლა განხორციელდება მაღალკვალიფიციურ სპეციალისტების მიერ, შრომის უსაფრთხოების თანამედროვე რეგულაციების გათვალისწინებით.

პროგრამის ხანგრძლიობაა 14 კვირა, 290 საკონტაქტო საათის მოცულობით და კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა 15-25 სთ.

სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებული იქნება შემდეგი სწავლის მეთოდები: ინტერაქტიული ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, ხოლო შეფასებისათვის - განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, კერძოდ, მსმენელების განმავითარებელი შეფასება მოხდება ყოველ კვირას, ხოლო განმსაზღვრელი შეფასება ჩატარდება მე-2, მე-9 და მე-14 კვირას, სხვადასხვა შეფასების მეთოდების გამოყენებით: წერითი მეთოდი - ღია ან/და დახურული ტესტი, პრაქტიკული დავალება-დაკვირვებით და პრაქტიკული დავალება - პროდუქტის შეფასება.

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს, დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდნა და უნარები.